

საგანმანათლებლო რესურსების მართვა

სკოლას შემუშავებული აქვს და სასკოლო საზოგადოებისათვის ცნობილია სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები (სასკოლო სასწავლო გეგმიდან)

| საგანმანათლებლო რესურსების ტიპები | საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის წესები | შენიშვნა |
|--|---|---|
| <p>ბიბლიოთეკა/დამხმარე ლიტერატურა</p> | <p>დამხმარე ლიტერატურა განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში და სარგებლობა შეუძლიათ მასწავლებლებს სამუშაო დღის ნებისმიერ თავისუფალ დროს, ასევე მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ 18.00 საათამდე.</p> | <p>სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით სარგებლობას უზრუნველყოფს სკოლის ბიბლიოთეკარი, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აცნობს ბიბლიოთეკაში არსებულ დამხმარე ლიტერატურას და აწარმოებს წიგნებით სარგებლობის პერსონალურ ბარათებს.</p> |
| <p>საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები/კომპიუტერული ლაბორატორია</p> | <p>საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსებით სარგებლობა შეუძლიათ სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში: მასწავლებლებს – საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის, ასევე სკოლაში ყოფნის თავისუფალ დროს, ხოლო მოსწავლეებს სასწავლო პროცესის დასრულების</p> | <p>საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსებით სარგებლობას უზრუნველყოფს სკოლის ისტ-ს მასწავლებელი და ისტ ლაბორატორიის მენეჯერი. ისინი უზრუნველყოფენ კომპიუტერულ ლაბორატორიაში მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარების ტექნიკურ მხარეებს.</p> |

| | | |
|---|--|--|
| | შემდეგ 18.00 საათამდე. | |
| სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); | სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებს იყენებენ/ქმნიან საგნის მასწავლებლები მოსწავლეთა დახმარებით, ან მათ გარეშე. მასწავლებლები მათი გამოყენებით გეგმავენ გაკვეთილებს, ხოლო საგაკვეთილო დაგეგმვისას უთითებენ მათ დამხმარე სასწავლო რესურსებში. | სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებების საგაკვეთილო პროცესში გამოყენებას უზრუნველყოფენ საგნის მასწავლებლები |
| საბუნებისმეტყველო (ფიზიკის, ქიმიის) ლაბორატორიები, ბიოლოგიის კაბინეტი | საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში საბუნებისმეტყველო საგნების: ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ჩასატარებლად. | საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითა და იქ დაცული სასწავლო თვალსაჩინოებებით სარგებლობის უფლება აქვთ სკოლის მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს, მხოლოდ შესაბამისი საგნის მასწავლებლის ზედამხედველობით. |
| ისტორია-გეოგრაფიის კაბინეტი | კაბინეტის გამგის ინფორმირება | აქ დაცული რუკებითა და სხვა რესურსებით სარგებლობის უფლება აქვს სკოლის ნებისმიერ მასწავლებელს (საჭიროების მიხედვით) კაბინეტის გამგესთან შეთანხმებით. |
| უცხოური ენის კაბინეტი | კაბინეტის გამგის ინფორმირება | აქ დაცული რესურსებით სარგებლობის უფლება აქვს სკოლის ნებისმიერ მასწავლებელს (საჭიროების მიხედვით) კაბინეტის გამგესთან შეთანხმებით. |